

რეკომენდაცია

საქართველოს ბაზარზე არსებული სათამაშოების უსაფრთხოებისა და არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გვეზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2016 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N14984/16) მომართა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, საქართველოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტის - სათამაშოების უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა ამა წლის 31 ოქტომბერს თბილისის რამდენიმე მაღაზიაში შეიძინა ათი დასახელების თოჯინა, რომლებიც გაიგზავნა გერმანიაში სათამაშოების უსაფრთხოების შემმოწმებელ აკრედიტებულ ლაბორატორიაში. პასუხების თანახმად, ათიდან ცხრა თოჯინაში აღმოჩნდა დიდი ოდენობით მავნე ნივთიერება დი-2-ეთილჰექსილფტალატი (DEHP), რომელიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა და აღნიშნულიდან გამომდინარე მისი სათამაშოებში გამოყენება ევროკავშირში აკრძალულია 1907/2006 რეგულაციით (დაშვებული ზღვრული შემცველობაა 0.1 წონითი პროცენტი).

გვეცნობა, რომ აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შესაბამისი რეაგირების განხორციელების თხოვნით და მიაწოდა ჩატარებული კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია და ლაბორატორიიდან მიღებული შედეგები.

საქმის შესწავლის პროცესში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილებით¹ მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ამავე სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის საპასუხო წერილებით² გვეცნობა, რომ

¹ კორესპონდენციები: 22.12.2016 – N10-4/15163; 11.01.2017 – N10-4/370

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/1527 ბრძანების შესაბამისად, სათამაშოებზე ზედამხედველობა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს კომპეტენციაში არ შედის.

დამატებით გვეცნობა, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების III-A დანართით განსაზღვრული საკანონმდებლო დაახლოების ცხრილის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ (2009/48/EC) ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივასთან გათვალისწინებულია 2019 წლისათვის. ამდენად, ბაზარზე ზედამხედველობა აღნიშნულ პროდუქტებზე განხორციელდება და კანონდებლობასთან შეუსაბამო პროდუქტებზე რეაგირება მოხდება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცებისა და ამოქმედების შემდეგ.

სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის თანახმად: „სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“. აღნიშნული ნორმის მიზნიდან გამომდინარე, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, იზრუნოს ბავშვებზე, ასევე, აღნიშნული ჩანაწერი აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით. კონსტიტუციის მე-15 მუხლი განმარტავს, რომ სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა, ხოლო 37-ე მუხლი იცავს ადამიანის ჯანმრთელობის უფლებას და განსაზღვრავს ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას“. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მე-13 კომენტარის მიხედვით³ სახელმწიფო თუ კერძო

² კორესპონდენციები: 29.12.2016 – N09/2538; 18.01.2017 – N09/77

³ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N14(2013): „ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესახებ“, 18 აპრილი, 2011, CRC/C/GC/13.

დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე არ უნდა განიმარტოს ვიწროდ და უნდა ვიგულისხმოდ ყველა ის დაწესებულება თუ ორგანიზაცია, რომელთა მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევისა და ლაბორატორიიდან მიღებული პასუხებით დადასტურდა, რომ ათიდან ცხრა თოჯინაში აღმოჩნდა დიდი ოდენობით მავნე ნივთიერება დი-2-ეთილჰექსილფტალატი (DEHP), რომლებიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს არასრულწლოვანთა ჯანმრთელობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის მათ საუკეთესო ინტერესებთან.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ბავშვს გააჩნია დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება. ასევე, მათი ასაკისათვის შესაფერის თამაშობებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება. არასრულწლოვანთა დასვენების უფლების შესახებ, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მე-17 კომენტარის თანახმად⁴, უარყოფითად იქნა შეფასებული დაურეგულირებელი სათამაშოების გასაღების ბაზრისა და ამ სფეროს კომერციალიზაციის მზარდი დონე. ასევე შეფასდა იმ სათამაშოების მზარდი რაოდენობა, რომლებიც, შესაძლოა, საზიანო იყოს ბავშვის განვითარებისათვის, რამდენადაც სათამაშოები შეიცავენ ჯანმრთელობისათვის საშიშ ქიმიურ ელემენტებს. სახელმწიფოებმა სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსის გამოყენებით ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა არასრულწლოვანებმა ისარგებლონ კონვენციის ზემოაღნიშნული მუხლით გარანტირებული უფლებით.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფოები მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას. კონვენციის 24-ე მუხლი განამტკიცებს მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებებს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. განსახილველ შემთხვევაში სწორედ აღნიშნული საფრთხის წინაშე დგანან არასრულწლოვანები, რადგან ბავშვის უფლებათა კონვენციის 31-ე მუხლით გარანტირებული უფლებით სარგებლობა, შესაძლოა, საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს მათი ჯანმრთელობისთვის, რაც საქართველოს ბაზარზე არსებული სათამაშოების შემოწმების შედეგად გერმანიის ლაბორატორიიდან მიღებული შედეგებითაც დასტურდება.

უსაფრთხო პროდუქტის საქართველოს ბაზარზე განთავსებასა და მის თავისუფალ მიმოქცევას არეგულირებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის

⁴ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N17(2013): 17 აპრილი, 2013, CRC/C/GC/17

კოდექსი“, რომლის გაცხადებულ მიზანთა რიცხვს მიეკუთვნება ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა, რისკის ანალიზისა და შეფასებაზე დამყარებული ინსპექტირების სისტემის დანერგვა და სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სფეროებში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსების ვალდებულებას, ხოლო ამავე კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი – მწარმოებლის პასუხისმგებლობას იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია მის მიერ ბაზარზე განთავსებული წუნდებული პროდუქტისთვის. რეალურად არ არსებობს ბაზრის ზედამხედველობის ორგანო, ერთგვარი აღსრულების მექანიზმი, რომელიც გააკონტროლებს საქართველოს ბაზარზე სარეალიზაციოდ განთავსებული პროდუქციის, მათ შორის, სათამაშოების ხარისხს და დაადგენს წუნდებულია თუ არა პროდუქტი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ახორციელებს მხოლოდ ობიექტების, (მათ შორის, შახტის, ატრაქციონის, ლიფტის, მადაროს) სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას, რომელსაც ინსპექტირების ორგანო ატყობინებს ჩატარებული ტექნიკური ინსპექტირების შედეგებს. შესაბამისად, ამ ეტაპზე საქართველოში არ არსებობს ბაზრის ზედამხედველობის ორგანო.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული დოკუმენტის, „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, საფუძველზე, საქართველოს ეკისრება დაახლოების სექტორული კანონმდებლობისა და ჰორიზონტალური კანონმდებლობის საორიენტაციო ნუსხით გათვალისწინებული ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივების, რეგულაციებისა და გადაწყვეტილებების შესრულება. უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის ზედამხედველობის მარეგულირებელ ნორმებზე ასოცირების შეთანხმების, გავრცელდა დროებითი გამოყენება და ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2014 წლის 1 სექტემბერი. შეთანხმების 46-ე მუხლის თანახმად: „მხარეებმა უნდა განამტკიცონ თანამშრომლობა სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სისტემების სფეროში, მხარეების შესაბამისი სისტემების უკეთ გაცნობისა და მათ შესაბამის ბაზრებზე დაშვების გაადვილების მიზნით“. საქართველომ საკუთარი პრიორიტეტების გათვალისწინებით, ეტაპობრივად უნდა დაუახლოვოს კანონმდებლობა ევროკავშირის მხარის შესაბამის კანონმდებლობას, ასევე, უნდა მიიღოს საჭირო ზომები ევროკავშირის მხარის ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის შესაბამისობის შეფასების სისტემებთან და ბაზრის ზედამხედველობის სისტემასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით და იღებს ვალდებულებას დაიცვას ევროკავშირის მხარის

შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პრინციპები და მეთოდები. შეთანხმების III-B დანართში მოცემულია ჰორიზონტალური კანონმდებლობის საორიენტაციო ნუსხა⁵, რომლის მიზანია საქართველოსთვის შეასრულოს არასრული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ფუნქცია.

ჰორიზონტალური კანონმდებლობის საორიენტაციო ნუსხის ერთ-ერთი დოკუმენტის შესაბამისად⁶, რომელიც ადგენს მოთხოვნებს აკრედიტაციისა და ბაზრის ზედამხედველობისადმი პროდუქციის რეალიზაციასთან მიმართებით, აუცილებელია, რომ პროდუქტები, რომლებიც გაერთიანების ფარგლებში სარგებლობენ თავისუფალი გადაადგილებით, ისეთი მაღალი დონის საჯარო ინტერესების დაცვას ემსახურებოდეს, როგორცაა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი დებულებები უნდა არსებობდეს აკრედიტაციის, ბაზრის ზედამხედველობის, მესამე ქვეყნებიდან შემოსული პროდუქტების კონტროლის შესახებ. საბაზრო ზედამხედველობა კი გულისხმობს საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და მიღებულ ზომებს, რათა პროდუქტები შეესაბამებოდეს გაერთიანების ჰარმონიზებული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და საფრთხეს არ უქმნიდეს ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან საჯარო ინტერესის დაცვის სხვა ნებისმიერ ასპექტს. თუ ბაზრის ზედამხედველობის ორგანო სერიოზული საფრთხის შემცველად მიიჩნევს პროდუქტს, მან ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა აიკრძალოს ასეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსება.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს „პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ“ დირექტივის⁷ შესაბამისად, მომხმარებელთა უსაფრთხოება, დიდწილად, დამოკიდებულია

⁵ 2008 წლის 9 ივლისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 768/2008/EC გადაწყვეტილება პროდუქციის რეალიზაციისათვის საერთო ჩარჩო პირობების შესახებ;

2008 წლის 9 ივლისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) N765/2008 რეგულაცია, რომელიც ადგენს მოთხოვნებს აკრედიტაციისა და ბაზრის ზედამხედველობისადმი, პროდუქციის რეალიზაციასთან მიმართებით;

2001 წლის 3 დეკემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2001/95/EC დირექტივა პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ;

1979 წლის 20 დეკემბრის საბჭოს 80/181/EEC დირექტივა გაზომვის ერთეულების შესახებ წევრი ქვეყნების კანონების დაახლოებაზე, რომელშიც შეტანილია ცვლილება ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2009/3/EC დირექტივით;

2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) N1025/2012 რეგულაცია ევროპული სტანდარტიზაციის შესახებ;

1985 წლის 25 ივლისის საბჭოს 85/374/EEC დირექტივა წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული ღონისძიებების დაახლოების თაობაზე.

⁶ 2008 წლის 9 ივლისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) N765/2008 რეგულაცია, რომელიც ადგენს მოთხოვნებს აკრედიტაციისა და ბაზრის ზედამხედველობისადმი, პროდუქციის რეალიზაციასთან მიმართებით;

⁷ 2001 წლის 3 დეკემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2001/95/EC დირექტივა პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ;

პროდუქციის უსაფრთხოების მოთხოვნების აქტიურ შესრულებაზე. ამიტომ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ სისტემური მეთოდები, რომლებიც განაპირობებს ბაზრის ზედამხედველობის ეფექტიანობასა და სხვა სახის აღსრულების მექანიზმების მუშაობას.

პროდუქციის უსაფრთხოების შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა რელევანტური ასპექტი, განსაკუთრებით კი, როცა პროდუქტიდან მომდინარე საფრთხე ეხება ისეთ განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას, რომელსაც მიეკუთვნებიან ბავშვები და ხანდაზმულები.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ შესაბამისი საშუალებები და პროცედურები, ეფექტიანი ბაზრის ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, რაც მიმართული იქნება მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მაღალ დონეზე დაცვის გარანტიის შექმნისკენ. მწარმოებლებსა და დისტრიბუტორებზე დაკისრებული ვალდებულებების ეფექტიანი შესრულების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ან განსაზღვრონ ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროდუქტის უსაფრთხოების ზედამხედველობაზე და აღჭურვილი იქნება შესაბამისი უფლებამოსილებებით, მათ შორის, ეფექტიანი, პროპორციული და შესაბამისი სანქციის დაწესების უფლებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ დირექტივა უნდა შესრულდეს 2019 წლის პირველ სექტემბრამდე, ასოცირების შეთანხმების მიხედვით, ბაზრის ზედამხედველობის მარეგულირებელი ნორმები ძალაში შევიდა 2014 წელს, შესაბამისად, დაიწყო სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას ევროკავშირის მხარის შესატყვის კანონმდებლობაში გაწერილი პრინციპები და მეთოდები. საორიენტაციო ნუსხაში მითითებული დირექტივები კი ყურადღებას ამახვილებს ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს არსებობის მნიშვნელობაზე და ზოგადად, აღნიშნული სფეროს ზედამხედველობის მნიშვნელობაზე. შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ 2019 წლამდე გადაიდგას აღნიშნული სფეროს კონტროლის ქმედითი ნაბიჯები.

2009 წლის 18 ივნისის ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა N2009/48/EC „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“ ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დაახლოების სექტორული კანონმდებლობის ნუსხაშია მოცემული, რომელიც უნდა შესრულდეს ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში, ანუ 2019 წლის 1-ელ სექტემბრამდე.

სათამაშოების მომარაგებისა და დისტრიბუციის განმახორციელებელმა ყველა ეკონომიკურმა ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ სათამაშოები, რომლებსაც ბაზარზე გახდის ხელმისაწვდომს, საფრთხეს არ უქმნიდეს ბავშვთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას და შესაბამისობაში იყოს გაერთიანების კანონმდებლობასთან.

დირექტივა განსაზღვრავს სათამაშოების უსაფრთხოების წესებს და მათ თავისუფალ გადაადგილებას გაერთიანებაში. დირექტივა გამოიყენება იმ სათამაშოების მიმართ, რომლებიც განეკუთვნება 14 წლამდე ასაკი ბავშვებს. სათამაშოების მომარაგებისა და დისტრიბუციის განმახორციელებელმა ყველა ეკონომიკურმა ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ სათამაშოები, რომლებსაც ის ბაზარზე ხელმისაწვდომს გახდის, საფრთხეს არ უქმნიდეს ბავშვთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას და შესაბამისობაში იყოს გაერთიანების კანონმდებლობასთან.

სათამაშოებმა, მათ შორის, ქიმიური ნივთიერებების შემცველმა, საფრთხე არ უნდა შეუქმნას მომხმარებლებისა თუ მესამე პირების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, როდესაც ხდება სათამაშოების მოსალოდნელი ან პროგნოზირებადი გზით გამოყენება და გათვალისწინებულია ბავშვთა ქცევის ხასიათი. ბაზარზე განთავსებული სათამაშოები უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების არსებით მოთხოვნებს მათი პროგნოზირებადი და ნორმალური გამოყენების პერიოდში.

დირექტივით გათვალისწინებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული მოთხოვნები, კერძოდ, აღწერილია, სათამაშოს ფიზიკური, მექანიკური და ელექტრო თვისებები (მაგალითად, სათამაშო არ უნდა იწვევდეს ასფიქსიას, დახრჩობას, სიყრუეს), არ უნდა შეიცავდეს აალებად ელემენტებს, დადგენილია ქიმიური და ალერგენული შემცველობის დაუშვებელი და ზღვრული რაოდენობა და ჰიგიენისა და რადიოაქტიურობის სტანდარტები.

ჩვენი მიმართვის საპასუხოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილით მოგვეწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს შიდა კანონმდებლობის დაახლოება სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ (2009/48/EC) ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივასთან გათვალისწინებულია 2019 წლისათვის. ამ ეტაპზე კი ამ სფეროს მიმართ კონტროლის განუხორციელებლობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას არასრულწლოვანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რაც გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული უფლებაა. „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“ დირექტივა უნდა შესრულდეს 2019 წლის 1 სექტემბრამდე, შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ პერიოდამდე დაგეგმილი იყოს და განხორციელდეს ეტაპობრივად კონკრეტული ქმედებები დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, ბაზრის კონტროლის ვალდებულება სახელმწიფოს უკვე აქვს აღებული. ამასთან, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, ისე ეროვნული კანონმდებლობა აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებას, განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებები არასრულწლოვანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, დაავალოთ ყველა შესაბამის უწყებას:

- განხორციელდეს რეაგირება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გერმანიის ლაბორატორიიდან მიღებულ შედეგებზე საქართველოს ბაზარზე არსებულ სათამაშოებში მავნე ნივთიერებების არსებობასთან დაკავშირებით არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების შესაბამისად;
- სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში, არასრულწლოვანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით, განხორციელდეს ქმედითი ნაბიჯები ბაზრის ზედამხედველობის კუთხით;
- „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“ დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში 2019 წლამდე დაიგეგმოს და განხორციელდეს კონკრეტული ქმედებები საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის მოსაწესრიგებლად, სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლებში.

გთხოვთ, გატარებული ღონისძიებების შესახებ, მაცნობოთ, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,